საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2323
08/06/2022

2323-21-2-202206080942

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, N34, სართული 6
ელ.ფოსტა: n.dorokashvili@gulfaviation.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2022 წლის 18 მაისს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება (N12457), რომელიც ეხება ქ. თბილისში შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ ნავთობბაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

როგორც 2021 წლის 29 დეკემბრის N14045/01 წერილით გეცნობათ, N01.19.26.002.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული ძირითადი ზონირების რუკით ვრცელდება სხვადასხვა კატეგორიის შეზღუდვის ზონები. შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელება საჭიროებდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას და შესაბამისი ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენას.

თქვენ მიერ წარმოდგენილია მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 30 მარტის N16-0122089861 წერილი, რომლის თანახმადაც, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით მსჯელობა სცილდება სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს, ხოლო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება საჭიროებს შესაბამისი ელექტრონული განაცხადის სააგენტოს ვებ. გვერდზე ატვირთვას.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული წერილი არ შეიძლება ჩაითვალოს მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების დამადასტურებელ დოკუმენტად. ვინაიდან მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული ძირითადი ზონირების რუკით კვლავ ვრცელდება სხვადასხვა კატეგორიის შეზღუდვის ზონები, საჭიროა კომპანიამ უზრუნველყოს აღნიშნულ

საკითხთან დაკავშირებით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან კომუნიკაცია და შესაბამისი შეთანხმების სააგენტოში წარმოდგენა.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხის გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო